

შპს „დიამედი“

ს/კ 406027384

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალი და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.


ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
3. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა.
4. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ექვივალენტი	4.1.	1,194,122	1,125,432
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4.2.	501,804	444,067
გადახდილი ავანსი	4.3.	280,765	116,409
საქონელი და მარაგები	4.4.	727,825	904,173
ძირითადი საშუალებები	4.5.	817,402	801,897
სულ აქტივები		3,521,918	3,391,978
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	4.6.	52,366	107,528
საგადასახადო ვალდებულებები		-	4,555
სულ ვალდებულებები		52,366	112,083
კაპიტალი			
კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		3,306,990	3,117,333
გადაფასების რეზერვი		162,362	162,362
სულ კაპიტალი		3,469,552	3,279,895
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,521,918	3,391,978




მთ. ბუღალტერი
ია ზუმბულიძე

მოგება-ზარალისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული პერიოდისთვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
საოპერაციო შემოსავალი	4.7.	2,716,044	2,533,153
საოპერაციო ხარჯი	4.8.	(1,884,209)	(1,584,043)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		831,835	949,110
დასაქმებულთა ანაზღაურება		(209,134)	(175,465)
ცვეთა და ამორტიზაცია		(7,689)	(8,588)
საპროცენტო შემოსავალი		5,647	158
ადმინისტრაციული და სხვა			
საოპერაციო ხარჯი		(39,969)	(70,539)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)			
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(128,076)	131,391
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		(52,957)	37,512
მოგება/(ზარალი) მოგების		399,657	863,579
გადასახადის ხარჯამდე			
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	-	399,657	863,579
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		3,279,895	2,606,316
დივიდენდის განაწილება	4.9.	(210,000)	(190,000)
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს		3,469,552	3,279,895



დირექტორი
დენის დიდენკო

მთ. ბუღალტერი
ია ზუმბულიძე

შპს დიამედი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

- 1.1. შპს „დიამედი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2010 წლის 12 აპრილს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 406027384, იურიდიული და ფაქტიური მისამართი - საქართველო, თბილისი, ისანი-სანგორის რაიონი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ.1. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.
- 1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან:
ფიზიკური პირი გიორგი მანაგაძე (პ.ნ 01008001437) –65%; ფიზიკური პირი ლელა ბეგლარაშვილი (პ.ნ 24001004337) – 35%.
კომპანიის დირექტორია დენის დიდენკო (პ.ნ 12002001010).
- 1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა: კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო დანიშნულების აპარატურის და სახარჯი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.
- 1.4. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.

2.1. 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოა, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და

ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. კომპანიის სადრიცხო პოლიტიკა.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება იურიდიულ პირებზე, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში,

საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებას და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა-ნაგებობები, ტრანსფორმატორები 5 პროცენტი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 15-30 პროცენტი.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

დ) არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული

სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 USD=3,2766 ლარი; 1 EUR=4,0233 ლარი,

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 USD=3,0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

4. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

4.1. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	1,194,122	1,125,432
სულ	1,194,122	1,125,432

4.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	501,804	444,067
სხვა მოთხოვნები	0	0
სულ	501,804	444,067

4.3. გადახდილი ავანსი

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	224,651	59,994
წინასწარ გადახდილი გადასახადი	56,114	56,415
სხვა წინასწარ გადახდილი თანხები	0	0
სულ	280,765	116,409

4.4. საქონელი და მარაგები

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2020
საქონელი	720,877	895,000
ნედლეული	6,393	8,487
საწვავ-საცხები მასალები	555	686
სულ	727,825	904,173

4.5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობა	დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა	მანქანები	სულ
ნაშთი 01.01.2021	236,570	521,172	16,465	16,808	10,882	801,897
შემოსვლა	-	15,122	-	8,072	-	23,194
გასვლა	-	-	-	-	-	-
დარიცხული ცვეთა	-	-	1,372	4,006	2,311	7,689
ნაშთი 31.12.2021	236,570	536,294	15,093	20,874	8,571	817,402

4.6. სავაჭრო ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	52,366	107,528
სულ	52,366	107,528

4.7. საოპერაციო შემოსავალი

	2021	2020
საოპერაციო შემოსავალი	2,716,044	2,533,153
სულ	2,716,044	2,533,153

4.8. ხარჯი

	2021	2020
რეალიზ. პროდუქციის თვითღირებულება	1,884,209	1,584,043
დასაქმებულთა ანაზღაურება და საპენსიო დანარიცხვები	209,134	175,465
ცვეთა და ამორტიზაცია	7,689	8,588
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	39,969	70,539
სულ	2,141,001	1,838,635

4.9. კაპიტალის სხვა ცვლილებები

	2021	2020
დივიდენდის გაცემა	210,000	190,000
სულ	210,000	190,000

ფინანსური ანგარიშის დამტკიცება

კომპანიას ფინანსური ანგარიში დამტკიცებული აქვს და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი
დენის დიდენაძე

29.09.2021

